



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე რევამ ნიკოლოზის ძე

თევზაძე რევამ ნიკოლოზის ძე (დ. 22. VI. 1931, ქუთაისი), გეოლოგი. საქართვე. დამს. ინჟინერი (1975) და დამს. მენავთობე (1981). სტუ-ის ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის კათედრის პროფესორი (1982). საქართვე. საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი, საქართვე. ეროვნ. ენერგეტიკის აკად. წევრი. 1955 დაამთავრა სპი (სტუ) სამთო ინჟინერ-მენავთობის სპეციალობით. მუშაობდა აზერბაიჯანში, 1958-იდან – „საქნახშირძიების“ ტრესტის, ხოლო 1970-იდან – საქართვე. მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლ. სამმართველოს სისტემაში. იკვლევდა კვანისის ტყვია-თუთიისა და ერწოს ვერცხლისწყლის საბადოებს, ხელმძღვანელობდა საძიებო სამუშაოებს შაორის ქვანახშირის, მადნეულის პოლიმეტალებისა და ბარიტის საბადოებზე და საქართვე. მეტალების კომპლ. ექსპედიციას.

თ-ის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დაძიებულია საქართვე. მინერ. რესურსების სამრეწვ. მნიშვნელობის მრავალი საბადო. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების (მ. შ. მადნეულის საბადოს) წარმატებული ძიებისა და გეოლ.-საძიებო სამუშაოებში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის 1971 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება.

1973-იდან თ. იყო ნავთობის საკავშ. სამინისტროს ტრესტ „საქნავთობის“ მმართველი, 1975–2004 – საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენ. დირექტორი, დეპარტამენტ „საქნავთობის“ თავმჯდომარე, სახელმწ. კომპანია „საქნავთობის“ პრეზიდენტი.

თ. 1978–2002 იყო საქართვე. ნავთობის მრეწვ. სამეცნ.-ტექ. საბ-ბის უცვლელი თავ-რე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

